

ნეშადური



№ 61.

საბჭოთაო რევოლუციის მუზეუმი

№ 61.

ოცნება

გული გამიტყდა ამ სიბერის დროს,
რომ ვერ მოვესწარ, რასაც ველოდი,
სოფლიურ ძრახვებს და ჩემ გულის,— თქმას,
მალე დაჰფარავს საფლავის ლოდი.


ოხ, სიყმაწვილევ იმედით სავსე!
რისთვის გამიქერ თვალს და ხელს შუა,
რომ ხელმეორედ მანუგეშებლად
ველარ გაბრუნებს გრძნობა და კკუა?

სად არის ის დრო, უწვევრ-ულვაშო
როცა სახლის წინ ვიჯექ მდუმარე?
მთის მწვერვალს, თითქოს, ცეცხლი, მოედო
და ამობრწინდა გავსილი მთვარე!

იწყო ქათქათი, გაჰფანტა ბნელი,
სხივები ისრად ქვეყანას სტყორცა
და ნეტარება ცისა და ქვეყნის
შეთანსწორა .. შეისისხლხორცა!..

მეც გავიმსკვალე მაშინ, უეცრად
რალაც ციური ვიგრძენი ძალი,
და ჩემ გაუყრელ თანამაველად
გამოვისახე თვით იდეალი.

მაშინ ავიღე კალამი ხელში,
გაისმა ჟღერა და მწარე ჰანგი
და გაყინებული ცრემლით და ნაღვლით,
ავაჭვითინე მკვნესარი ჩანგი.



ჰენრის ქალები.—ქანდაკება: ვენისა

თან გადაჰყევი მე მის სამსახურს,
არ ვაფასებდი ჩემს თავს არც ფარად
და რაც ვიყავი მე იმ თავიდან,
ის ვიქნებოდი, ვფიქრობდი, მარად.

მაგრამ ამაოდ!.. ახლა სიბერე
სულ სხვა ნაირად მეჩურჩულება
და რომ ეს გული კვლავ გამომთელოს
ქვეყნად არავინ არ მეგულება!

ასე ვფიქრობდი გუშინ საღამოს
ჩემს ჰაივანზე მე გადამდგარი,
ორთა შუა რამ გამომწყვდეული,
აღარც ცოცხალი და აღარც მკვდარი.

ჩვეულ ადგილზე, მაღალ წვერვალზე
ჩვეულებრივად გამოჩნდა მთვარე
და მიყრუებულ მიზნელბული
გამოაღვიძა მან არე-მარე.

მეც გამოფხიზლდი და შემოვაველე,
გრძნობა შეცვლილმა, გარშემო თვალი;
ჩემს გვერდით იდგა გაქვავებული,
რომ ვინატივდი, ის იდეალი:

იმას შეესხა ადამის ხორცი,
ჩამოსულიყო ქვეყნიურ ქალად;
მიუწდომელი.. მიუდგომელი
ჩემ სათაყვანოს წაჰგავდა თვალად!..

მითხრა ხმა ტკბილად, ციურ ღიმილით;
რამ გაგიტეხა მაგრე გულიო?
ამიერიდან უკუნისამდე
არ ჰკვდება მხოლოდ სიყვარულიო.

და თუ მოკვდება, ის მარტო ოდენ
ჩაიქარგება სულს და გულშიო!..
გაეთხორცდება... გაერთსულდება
სხვის სიყვარულში სიყვარულიო!!.

აქ თუ სურვილი არ აგისრულდა,
თანვე წაიღე საიქაოსო,
რომ ის ოცნება შენს სამარეზე
ია და ვარდად აეყვავოსო!..

მე ამ სიტყვებმა გამომაბრუნეს
დამატკბეს კიდევ უკანასკნელად
და სამარისკენ თან მიმყვებიან
ჩემ შესანდობარ საკმელ-სანთელად.

აკაკი.



„ჩვენი და სახეი“ **ეროვნული**
(გაგრძელება) **ნიჭადურობა**

II

სამივე ზემოხსენებული სახელმწიფო—ოსმალეთი, სპარსეთი და რუსეთი თვითმპყრობელი სახელმწიფონი იყვნენ. ეს ყველასთვის ცნობილი ფაქტია, თუმცა თავიანთ ისტორიის ვითარებაში მათ თვითმპყრობელობას სხვა და სხვა ხანები გაუვლია განვითარებისა; ამის მოთხრობას ჩვენ აქ არ შევეუდგებით.

თვითმპყრობელნი იყვნენ ეს სახელმწიფონი და მით უარესი დღე გვადგებოდა ქართველებს ყოველთვის, რაცა მათ კლანკებში ჩავარდებოდიო ხოლმე, რადგანაც, რაც უნდა იყოს, თავისუფალი რეჟიმის მქონე კულტურულ ქვეყნის ხელში ჩავარდნა სჯობია ყოველთვის, ვიდრე თვითმპყრობელობის დესპოტიზმა და უკულტურო ქვეყნის ხელში, თუმცა ისიც ძლიერ კარგად ვიცით, რომ ხშირად ძლიერ კულტურული და თავისუფალი ქვეყანაც არ აყრის ხოლმე კაი დღესა და ჰკლავს დაჩაგრულ ერებსა.

უკანასკნელი შავი დრო რუსის თვითმპყრობელობისაგან განვიცადეთ. მთელი ერთი საუკუნე იგი გვაწვა მაჯლაჯუნასავით და გვკუდავდა. მაგრამ, დახეთ ისტორიის უცნაურობასა, თითქმის ერთსა და იმავე დროს იფეთქა რევოლიუციამ სამივე სახელმწიფოში. რუსეთმა დიდი რევოლიუცია განიცადა, თუმცა ეს რევოლიუცია დამარცხდა, რეაქცია გამეფდა და ვინ იცის როდის დადგება რუსეთი ნამდვილი განახლების გზასა.—სპარსეთში რევოლიუციამ ვაიმარჯვა, მაგრამ შაჰმა გასტეხა ფიცი და გარეკა მეჯლისი, შეფერხთა სპარსეთის ხალხის გამარჯვების მსვლელობა. ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ბრძოლა რევოლიუციასა და რეაქციას შორის, და ვინ იცის რითი გათავდება იქაც ეს ბრძოლა და დაიწყებს თუ არა სპარსეთი ისევ ამ მოკლე ხანში თავის განახლების საქმეს სრული კონსტიტუციის დამკვიდრებით. ჯერ-ჯერობით კი უნდა ვიფიქროთ, რომ ალბად რევოლიუცია გაიმარჯვებს, რადგანაც სპარსეთის რეაქციონურ მთავრობას ჯარი არა ჰყავს, რევოლიუციონერებს კი ხალხის სიმპათია აქვსთ და კარგადაც არიან დარაზმულნი.—ოსმალეთში თითქმის სისხლის დაუღვრელად მოხვდა რევოლიუცია. ხანგრძლივი მუშაობით ახალ-გაზრდა ოსმალებმა მთელი ჯარი მოამზადეს კონსტიტუციის დასამკვიდრებლად და თავისი ფოლადის სიმტკიცის ორგანიზაციით ერთბაშად დასცეს ძირს სულთანის დესპოტიზმი და გამოაცხადეს



კონსტიტუცია. ესლა იგინი სცდილობენ დაიცვან უკვე მოპოვებული თავისუფლება და დამყარონ ნამდვილი პარლამენტიზმი, განახორციელონ უსაქიროესი რეფორმები,— და, უწინარეს ყოვლისა, უზრუნველ-ჰყონ ოსმალეთი უცხო სახელმწიფოთა დაუკითხავ მზრუნველობისაგან.

რასაკვირველია, რევოლიუციები ერთბაშად არა სცლიან მთელ საზოგადოებათა ვითარებას,—ყოველთვის არის შესაძლებელი ბრწყინვალე რევოლიუციის შემდეგ შეგზნელი რეაქცია, შემდეგ ისევ რევოლიუცია და სხვ.— მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თითქმის უცვლელ სოციალურ კანონად მივიღოთ შემდეგი: რალაი ერთხელვე შეიძვრის ხალხი მთელი თავისი სოციალური ვითარების შესაცვლელად, ვერავითარი რეაქცია და მთავრობათა გამარჯვება ვერ შეაჩერებს ამ უზენაეს მისწრაფებას მთელი საზოგადოებისას, მთელი ერისას. ადრე თუ გვიან საბოლოო შედეგი მოძრაობისა მაინც საუკეთესო შეცვლას საზოგადოებრივი ცხოვრებისა, და ის პროცესის სოციალური გარდაქმნისა სხვა ეგრედ-წოდებულ მშვიდობიან დროსთან შედარებით ძლიერ ხან-მოკლე და სწრაფია.

ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, მიუხედავად რუსეთის რეაქციისა, მიუხედავად სპარსეთის ჯერ გაუთავებელი ბრძოლისა, მიუხედავად ოსმალეთის მომავალ შესაძლებელ რეაქციისა,— ეს სამი სახელმწიფო საუკუნოდ შეიცვალა და მისი ცვალებადობის მიხედვით უნდა შეიცვალოს საქართველოს ბედიც. რომ საქართველო რეაქციონური ქვეყანა არ არის,—ეს ყველასათვის ცხადია. პირიქით,—მან ბევრ სხვა ხალხს გადააჭრბა კიდევ თავისი რევოლიუციონური გატაცებით. რომ საქართველოს ამა თუ იმ ფორმის თავისუფლება სწყურია,—ესეც ექვს გარეშეა. მხოლოდ მისი ნაბიჯები, მთელი მისი მომავალი ბედ-იღბალი—დამოკიდებულია იმ სამ სახელმწიფოზედ; საქართველოს ცვალებადობა — ესლაც ფუნქციაა ამ სახელმწიფოთა ცვალებადობისა, როგორც ეს წინადაც იყო.

საჭიროა ჩვენთვის, მაშასადამე, ჩვენი სურვილები და ჩვენი ნაანგარიშები პოლიტიკა ამ ზემოხსენებულ სახელმწიფოთა ცვალებადობას შევუთანხმოთ.

ჩვენა ვსთქვით, რომ ადრე თუ გვიან, და ამასთანავე მოკლე ხანში,—რუსეთში, სპარეთში და ოსმალეთში თავისუფლება დამყარდება მეთქი. ხანგრძლივი დესპოტიზმის შემდეგ აღმოცენებულ თავისუფლებას კი ყოველთვის თანა სდევს აყვავება მთელი ერისა,—აღლორძინება ეკონომიური, და

პოლიტიკური გაძლიერება სხვათა შორის და განსაკუთრებით. არც რუსეთი, არც სპარსეთი და არც ოსმალეთი ამ მხრით სხვებს არ უნდა ნამოკრეს; ისინი პოლიტიკურად და ეკონომიურად უნდა გაძლიერდნენ. მაგრამ ამ მხრით, ჩემის ფქრით სპარსეთი და განსაკუთრებით ოსმალეთი გაცილებით უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე რუსეთი.

სპარსეთის აღლორძინებას თან მოჰყვება მთელი ნახევარი აზიის აღლორძინება. უკვე ინდოეთში საშინელი სიძლიერის ეროვნული მოძრაობაა ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ. აგრეთვე მთელი თათრობა მიჰბაძავს განახლებულ სპარსეთსა და დაადგება განახლების გზასა. შემკდარია ის აზრი, ვითომც კაცობრიობა ერთა თანდათან მოსპობისაკენ მიდიოდეს,—ერთფეროვან გაერთიანებისაკენ. პირიქით,—ერები იღვამებენ არა მარტო ევროპაში, არამედ აზიაშიაც. იბადება ახალი იდეა ეროვნებისა, და თუ ეს იდეა გაფართოვდა, განმტკიცდა და აზიის ერთა შეგნებაში შევიდა, მაშინ ეს ერები ისეთ საშინელ ძალას წარმოადგენენ, რომელსაც წინ ვერა-რა დაუდგება. ამის ნიშნები დღეს მრავალია. როგორც არა ვსთქვით, ინდოეთის გაღვიძება დიდს რამეს მოასწავებს ამ მხრით,—აგრეთვე გაღვიძება ჩინეთისა, მაგრამ ამ უკანასკნელს კიდევ სხვა მნიშვნელობა აქვს და ამაზედ ცოტა შემდეგ ვილაპარაკოთ.—აღლორძინებული სპარსეთი და ინდოეთი საშინელ ძალას შეიძენენ და მათ ვერას დააკლებენ ვერც ინგლისი და მით უმეტეს ვერც საფრანგეთი. სპარსეთი და ინდოეთი ინდოეთის ოკეანეში უმთავრეს მომქმედ ერებს წარმოადგენენ და ისე ააყვავებენ ამ აღურებელი სიმდიდრის მქონე ქვეყანას, რომ ინდოეთის ოკეანე გახდება ცენტრი სრულიად დამოუკიდებელი ევროპისაგან,—თავისებური ცივილიზაციაა მათი მფობლები,—არაბები, ინდო-ჩინეთი, მულაიელები და სხვანი აგრეთვე მათთან უფრო მკიდრო კავშირს შესძლებენ, ვიდრე სხვა ერებთანა, გეოგრაფიული მდებარეობისა, სჯულთა ნათესაობისა და სხვა მიზეზთა გამო,—ასე რომ სამხრეთით მათ შეუძლიანთ სრულიად უზრუნველ-ჰყონ თავიანთი დამოუკიდებლობა ევროპისაგან, და განსაკუთრებით რუსეთისაგან, რომლის სამხრეთისაკენ დაწვევის პრეტენზიას საუკუნოდ მოედება ბოლო, თუ უკვე არა აქვს ბოლო მოღებული. აგრეთვე სპარსეთი განთავისუფლებას ეკდება რუსეთის გავლენისაგან ჩრდილოეთის მხრით. ეკონომიურად აღლორძინებული, იგი თავისი ნაწარმოებით გაუძღვება ჩრდილოეთის ბაზრის მოთხოვნილებას, მისი პოლიტიკური სიძლიერე კი სიმპატიას

მოუპოვებს მას მთელს აღმოსავლეთ კავკასიაში, სადაც სცხოვრებენ მისი მონათესავე ერნი — სჯულითა, ტრადიციითა, ზნე-ჩვეულებითა, აგრეთვე რამოდენიმედ ენითაც და რასითაც. ამ ერებს რუსებთან არავითარი ნათესობა და კავშირი არა აქვს, და რასაკვირველია ისინი განახლებულ სპარსეთს უფრო მიემხრობიან, ვიდრე რუსეთსა.

განახლებული რუსეთი მართალია დიდ ძალას მოიკრებს, მაგრამ მისი ვაფართოება და ისეთი კომბინაცია სხვა ერებთან, როგორც ეს შესაძლებელია სპარსეთისათვის, მისთვის ყოველად შეუძლებელია. რუსეთის გეოგრაფიული და საერთაშორისო ადგილია ისეთი ცუდი და უხერხული, რომ ყოველად წარმოუდგენელია მას დიდი მომავალი მოელოდეს. გარდა ამისა, საზოგადოდ შეუძლებელია რომელიმე სახელმწიფოს დაუსრულებელი ვაფართოება. ამ ვაფართოებას თავისი ბუნებრივი საზღვრები აქვს, და რაც უფრო ცუდია სახელმწიფოს გეოგრაფიული და საერთაშორისო მდგომარეობა, მით უფრო შეუძლებელი ხდება მისთვის დაუსრულებელი გაძლიერება და ამ ძლიერების ხანგრძლივი შენახვა. რუსეთი ისეთნაირად არის ჩაჩხერილი უზღვაო ადგილებში, რომ გასაფართოებელი ნამდვილი გზა აღარა აქვს. იგი მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში სცილილობდა გამოსულიყო „მინდვრის“ სახელმწიფოს მდგომარეობიდან და ბოლოს მიაღწია ჩრდილოეთით ყინულთა საფელობელოს, დასავლეთ-ჩრდილოეთით ბალტიის ზღვა „გაიხადა სარკმელად“, რომ ევროპისათვის ეცქირა, აღმოსავლეთისაკენ დიდ ოკეანეს მიაღვა და სამხრეთით შავ-ზღვასა და კავკასიასა. ყანულ-ს ოკეანეს ფასი პოლიტიკურად ნულია. ბალტიის მხარეზე მას ისეთი ცერებრები უდგია, რომ სრულიად არავითარი იმედი არ არის არასოდეს, რომ მცირეოდენი ნაბიჯი წარსდგას წინ: მთელი ევროპის ვეშაპი იმ წამსვე ყალყზედ დადგებოდა და ერთი კუდის შემოქნევით მტვრად აქცევდა თიხის ფეხებიან ვეებასა აღმოსავლეთში პირდაპირ ფოლადის საზღვარი ნახა, და როდესაც მოანდომა განემტკიცებინა დიდ-ოკეანეზედ მართლაც ნამდვილი საფუძველი თავისი სიძლიერისა, ისეთი მაგარი პანლური უქირა მართლაც და „განახლებულმა“ იაპონიამ, რომ არავის არასოდეს არ მოლანდებია სიზმარშიაც კი უარესი მწვავე რამ. ეხლა კი ჩინეთიც იღვიძებს, დიდი, მრავალ მილიონიანი ჩინეთი, რომელსაც ზღვაცა აქვს და საერთაშორისო მდგომარეობაც ისეთი, რომ მას იაპონიასთან და სხვა მეზობელ ხალხებთან ერთად შეუძლია მეორე უდიდესი ძალა წარმოადგინოს აზიაში, — ისეთი ძალა,

რომელსაც რუსეთი კი არა, მთელი ევროპის ძალიც ვერას დააკლებს. ეხლა სრულიად განქრალი იმედი, სამუდამოდ შთაინთქა იგი წარსულ ფანტაზიათა მორევში, რომ რუსეთმა ოდესმე მოიპოვოს ადგილი აღმოსავლეთის ოკეანეზედ თავისი სახელმწიფო სიძლიერის განმტკიცებისათვის. დარჩა უკანასკნელი იმედი — ოსმალეთის დამარცხება — კავკასიაში და შავ-ზღვაზედ ბატონობის წყალობითა. ფანტაზია სტამბოლში შესვლისა და იქ გადატანა სახელმწიფო სიძლიერის ცენტრისა. სხვა ხმელეთის საზღვრიდან რომ ეს შეუძლებელი იყო, — უკვე სცადა რუსეთმა. მაგრამ თურმე ოსმალეთი არც ისე სუსტი და დეგენერანტი ერი ყოფილა, როგორც ეს ეგონათ. მან გაიღვიძა, — ხმა მალლა განაცხადა რომ უზრუნველ უნდა გყოთ სამშობლო ჩვენ საქმეებში უცხოელთა ხელის ფათურისაგანაო... და სტამბოლის წიაღთა შინა აწ ვერასოდეს ვეღარ გაისმის რუსული ურა! ამ იმედს ვერასოდეს ვეღარ მოალოერსება რუსეთი. იგი კი ერთად ერთი და იყო აღმოსავლეთიდან საუკუნო გამოძევების შემდეგ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. როგორც აღმოსავლეთი კავკასია ბუნებრივად სპარსეთისაკენ უფრო მიიხრება, ვიდრე რუსეთისაკენ, ისე დასავლეთი და ცენტრალური კავკასია ოსმალეთისაკენ უნდა მიიხაროს. გარდა ყოველივე ამისა რუსეთი სხვა მხრივაც არის ძლიერ ახირებულ მდგომარეობაში. ზღვათა მხრით ხომ მას გასავალი გზა სრულიად მოესპო, მაგრამ თვით „მინდორშიაც“ არ არის უზრუნველ-ყოფილი: იგი გარემოცულია უცხო დაპყრობილ ერებთა, ანუ ისეთი კუთხეებით, რომლებსაც მაინცა და მაინც არა სურთ ძლიერ მასთან დარჩენა. აღმოსავლეთით ციმპირია ასეთი კუთხე რუსეთისა, დასავლეთით პოლონეთი და ოსტრეის გერმანელები და ლატაშები, ჩრდილოეთით ფინლანდიელები, სამხრეთით კასპიის იქითა მხრის უცხო ხალხები, რომლებიც ყოველთვის სპარსეთისაკენ უფრო გაიწვიან მრავალ მხრივი ნათესაობის გამო, — და კავკასია, რომლის მცხოვრებთაც არაფერი საერთო არა აქვს რუსეთთან... ამგვარად, როგორც სახელმწიფო, რუსეთი შემორტყმულია უძლიერეს, ფოლადის საზღვართა მქონე სახელმწიფოთაგან, როგორც ერი კი, „მინდორშია“ და აგრეთვე გარემოცულია უცხო ერთაგან, რომელთა გაღვიძება დღითი დღე მატულობს და პირველივე შემთხვევისთანავე ჩამოშორებას არა დაეჩიდებია.

ოსმალეთი კი ახალი ცხოვრების გზას დაადგა უკვე. მისი გეოგრაფიული მდგომარეობა ისეთია, რომ იგი თამამად შევა ხმელთა — შუა ზღვის ხალხთა

ურთიერთობაში, როგორც უპირველესი სახელმწიფო, თავის გაძლიერებისა და კულტურული განახლებისთანავე. მდიდარი მკირე აზია, პალესტინა, არაბეთი, ეგვიპტე, თვით ევროპის ოსმალეთი, — ეს ისეთი ქვეყნებია, ისეთი სიმდიდრისა, ისეთი ადგილის მქირავნი, რომ მათ დიდი მომავალი მოელოსთ, თუ შესძლებს ერთ სახელმწიფოს ქერ-ქვეშ ცხოვრება და მშვიდობიანი განვითარება. ხმელთა შუა ზღვისა და წინა აზიის ხალხთა შორის ეს სახელმწიფო დიდ ადგილს დაიჭერს, ვინაიდან მას გამოსავალი გზებიც მრავალი აქვს მთელი ქვეყნის პირზედ, და აგრეთვე ეს ხალხნი მრავალი ნათეობით არიან ერთმანეთზედ შეჯაჭვულნი. უმთავრესი სამუსულმანოც სწორედ აქ არის.

მაგრამ ჩრდილოეთით უმთავრესი მისი მტერი, **კავკასიის მხრით** — რუსეთია. ამ საშუალო ტერიტორიაზედ, რომელიც ეხლა რუსეთს უჭირავს, რუსეთისა და ოსმალეთის შეტაკება აუცილებელი გახდება და ამ შეტაკებამ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელმა უნდა იბატონოს შავ-ზღვაზედა და კავკასიაში, ვინაიდან, სანამ რუსეთს კავკასია ეჭირება, ოსმალეთის სახელმწიფოს სიძლიერე არასოდეს არ იქნება უზრუნველ-ყოფილი. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში არა მარტო ამ ორი სახელმწიფოს სურვილსა, არამედ თვით კავკასიის ერთა სურვილსაცა და აგრეთვე იმ მოსაზრებას, თუ როგორ უფრო **სასურველი** იქნებოდა კავკასიის პრობლემის გადაწყვეტა, მაშინ შესაძლებელია მესამე გზაც გამოიხატოს იქნას ამ პრობლემის გადაწყვეტისა, გარდა ოსმალ-რუსთა ბატონობისა კავკასიაში. ამ პრობლემის მესამე გზით გადაწყვეტაზე და მოკიდებული ჩვენი საქართველოს მომავალიც. — ყოველ შემთხვევაში კი ერთი რამ არის თვალსაჩინო: ამ ბოლო დროს ისე მოეწყო საქმეები, განსაკუთრებით ოსმალეთის გამოღვიძებამ და განახლებამ ისეთი შედეგი შეიძლება მოიტანოს, რომ კავკასიის კარის დახშობის პრობლემა მომავალში კიდევ უდიდეს პრობლემად გახდება, ვიდრე იგი იყო მე-XVIII საუკუნის ბოლოში და მე-XIX პირველ-ნახევარში.

ალაროდელი

(დასასრული იქნება)

* * *

შავის ფიქრებით შეწუხებული გარეთ გამოველ... ირგვლივ ბნელოდა... და ჩემი გული ვით დაკადილის მწარე წყლულებით აღივსებოდა.

მარტო მდგომარე, ღამის წყვედილი ვეძებდი სულის სიტკბოებასა, ძირს დედამიწას, — მალლიდან ნათელსა ჰფენდა არე-მარესა.

აქ, შორი-ახლოს ბუტბუტი ისმის მთიდან მოდენილ ნაკადულისა, და მის ზვირთებსა ვითა აშიყი ეალერსება უუქი მთვარისა.

ბუჩქნართა შორის წყნარი ანკარა მირბის, მისჩქევავს გამუდმებული, რალაცას მოსთქვამს, თითქოს გოდებდეს ქვეყნის აწმყოთი შეწუხებული...

მისი დუღუნი, წყნარი და მშვიდი მე ათასგვარად ჩამემმის გულში, ხან დამამშვიდებს, ხან ამადლევებს, საზარ ხმასავით მიელავს ყურში.

მღერის წარსულზე, მღერის აწმყოზე, დიდებას ასხამს ტანჯულ გმირებსა, ჩივის თავის ბედს... გაჭირვებაზე, ესაუბრება ის მეზობლებსა.

ანკარის გვერდით... გაშლილ ფერდობზედ მოსჩანს დიდი ხე... მუხა მალალი გაჩუმებული წყნარად ყურს უგდებს, აღარ მოისმის ფოთლის შრიალი.

და მალლით მთვარე დარბაისლურად ძირს გადმოსცქერის არე-მარესა: ანათებს წყვედილს, უუქს ჰფენს ნაკადულს, მიცისკროვანებს გულს მწუხარესა.

მთვარეც დიადო! გიმზერ, და შენით მე გული მიწყებს მწარედ ძგერასა, შავის ფიქრებით გარემოცული თავი ეძლევა დავიწყებასა,

ეგ შენი მშვიდი, ნათელი სახე თითქოს მაგონებს ქვეყნის წარსულსა, აწმყოს დასცქერის... და გზას უნათებ ერის მომავალს — გაბრწყინებულსა...

.....ხან მომეჩვენის განრისხებულად, თითქოს ქვეყანას უქადდე რისხვას... აზრი მერევა... აღლევებული ველარ ვიკავებ მე ჩემს გულის თქმას

და შემოვძახი: მთვარე, შემუსრე კვალად სიბნელე ამა სოფლისა!

და სინათლისა სხივით შემოსე
წყვედიანი ირგვლივ შავის ბედისა!...

...გაჩუმებული, კვლავ ისევ ვდგე
შავ დედამიწის ფართე ველზედა...
ვუმხერ მთვარესა, ვუმხერ ნაკადულს
მარად ვოცნებობ მომავალზედა!...

ი. ტასოშვილი

შთაბეჭდილებანი

IX

ილიას ძველი და სინანულის დღეები.

„ამირანის“ რედაქცია ნაწეინა, რომ საზოგადო-
ების ერთს ნაწილს სურს ილია ჭავჭავაძის დიდი ძეგ-
ლი დაუდგას ერევნის მოედანზე. გაზეთი ბრძანებს ასე-
თი სურვილი ქართველთა შეძლებული ნაწილის სურვი-
ლია, იმ შეძლებული ნაწილის, რომელიც სწავლა-გან-
თლებებისათვის არაფერს იმეტებს. შეძლებულნი და „ვინც
ამ შეძლებულებს ეტმანებთან“ ამყოფით და შედიდუ-
რობით ხელმძღვანელებენ ამ საკითხშია.

სხვათა შორის, მეც იმ აზრის ვარ, რომ მთა წმი-
ნდაზე ძეგლის დადგმას, თუნდაც ძლიერ იათად დაჯ-
დეს ძეგლი, სჯობს ერევნის მოედანზე ძვირფასი და
დიდი, სელოვნების ნამდვილი ნაკეთი ადგამენათ.

აქ ამყოფას და შედიდურობას არ აქვს ადგილი,
მით უმეტეს სიმდიდრე სიღარიბეს, არამედ შემდეგ მო-
საზრებთა.

როცა ტფილისში ჩამობრძანდებით, შირველი შთა-
ბეჭდილება ისეთია თათქას ეფექტიანი რუსობისა და
სომხობის იყოს. ნამდვილათ კი ეს სრული შეცდამაა.
მართალია, მართვა-გამგეობა რუსთა ხელშია, ვაჭრობა-
ში კი სომხობა გვჭარბობს, მაგრამ ტფილისის მარე-
ნელი საქართველოა და კულტურული ელფერი ქართუ-
ლია. ტფილისის საქართველოს სტანტო ქალაქია და მას
უნდა შეჩეს აგრეთვე სტანტო ქალაქის შესედულებაც.
თუ კი მთელი გაზეთის გამოცემა შეიძლება უცხო
ენაზე სამზღვარ გარეთ ერთად ერთი მიზნით სხვა ერე-
ბმაც გაკვირნოს, რატომ ცოდვით უნდა ჩამოგვართვას
კაცმა სურვილი ეფექტს ტფილისში ჩამოსულს უცხოისა
და შინაურს უთხრათ—აქ საქართველოა-თქო.

თქვენ, ბატონებო როგორ გგონიათ, ხალხში ვისიმე
შეზუღიარობისათვის, რას აქვს უფრო დიდი მნიშვნე-
ლობა, უფასოთ მწერლის თხზულებათა დარიგებასა
თუ ძეგლს? მე გგონია რომ უკანასკნელს. უფასოთ და-
რიგებულ წიგნებს სამოწყალოთ თუ კითხულობენ, თით-
ქას დამრიგებულს სტემდენ განსაკუთრებულ ზატვის.
ხოლო როცა ძეგლი დაინტერესებს ხალხს თვით ხალ-

ხი შეიძენს ილიას თხზულებათა. თუკი მწერლები
კი თავისი შსამანი ერთ იკითხავს, როგორ უნდა შე-
ხედავს, ვინ „აუულებათ“ აქ? გიორგი კი გაიკებს
გამოქანდაკებულის ვინაობას, შეიძენს მწერლის ნაღ-
ვას და ჩაუკვირდება მრავალ მხრივ ტანჯულ ზოგის
ცნობებს. აი ეს გვინდა ჩვენ.

ძეგლს, თუ ის ხეირიანათ იქმნა შეთხზული და
გაკეთებული დიდი ესტეტიური მნიშვნელობა აქვს. მთე-
ლი ტფილისის ქუჩები რომ დაიაროთ ხელოვნების მხრივ
ერთს შესანიშნავს რამესაც კი ვერ ნახავთ. შუშინის,
გოგელის და თვით ვორონცოვის ამაყი ძეგლი, მარ-
თალია, უურადლებს იტყვას, მაგრამ გამოგების გან-
ვითარება, გრძობის გაფაქიზება, ოცნების და აღმა-
ფრენის აღძვრა მათ არ შეუძლია.

როცა ხალხი ძეგლის დახსვით რაღაც უცნობ გრძობ-
ბას გაეცნობა, შეისწავლის გამოქანდაკებულის მოღვაწე-
ობას, მაშინ დაიძვრის ზღვა ხალხი მთაწმინდისაკენ;
რას დაინახავს საფლავს სთავყვანებელი ადამიანისა, შე-
კრებს თავის აღტაცებას, სიკვარულს, ზატვის ცემას
და ხელ უხლებელ გრძობას და აზრს ხელთაქმნილში
გამოხატავს. ესაა კი ბატონებო, მთაწმინდაზე წელი-
წადში ერთხელ იკრებება ასა—ორასი კაცი... ხალხი იქ
არა სხანს... გაეღის წლები... ქანდაკებას დადგამენ...
ჩვენ შეიძლება მოგვეწინოს... მაგრამ ხალხი მანც არ
მოვა.

ესაა სავადალო.
ამ აზრის არიან შეიძლება, თქვენზე უფრო ხელ
მოკლე და თქვენზე უფრო მდიდართაცან დამოუკიდე-
ბელი პირები. ასეთი სურვილი ამყოფა კი არ არის, არა-
მედ სრულიად ბუნებრივი და კანონიერი მოთხოვნილებაა
ეროვნული თვითცნობიერების და კულტურული გრძობ-
ბისა.

სამწუხარო ამბავის გაგების პირველ ხანაში უფრო
კვების გული, უფრო დრმად გრძობ მწუხარებას, უფ-
რო სწეველი ბედს. ზოგი შრება ტანჯვისაგან, მაგრამ
გამოირკვევა თუ არა, თვით უტყვივ კი გოდებს, სტი-
რის... ჩვეულებრივი უფასათო, ტლანქი სიტუვა ჭარ-
მონით ივსება.

მარშან მოკლეს ადამიანი, რომელსაც მთელი ერთ
როგორც მოჭირინახულეს, როგორც წინამძღოლს და
იმედს შეჭურება, უკანასკნელ 10 წლის განმავლობა-
ში თუ არა, წინათ ხომ მანც.

ბერი, ბერბი სტიროლად მივარდნილ, მიერეებულ სოფ-
ლებში .. ის ცრემლები არავის დაუნახავს... ქალაქებში,
გაზეთებში კი უსამზღვრო იყო მწუხარება...

სოციალ-დემოკრატიაში ამ მკვლევლობის შესახებ
ბერი სწავს; გრძელ ფელეტონებში, რომელნიც ორ-
სამინამეგრძე იბეჭდებოდა, ერთხელაც არ წამოცდენიათ

გულ მხურვალე სიტყვა, მწუხარება, არ გახსენებიათ, რა სასისხური მიუძღვოდა ილიას.

ესაა კი .. სოც.-დემოკრატები ილიას „ჩვენი ქვეყნის სასიქადულო და სათაყვანო შეიღის“ უძახიან, რომელიც „უგალობდა დაჩაგრულთა და დაჭრდამილთა განკაცება-გაადამიანებას, ვაჟაგურის ძალ-გულფრთხილით ეკვებებოდა ბედ-შავი ხალხის ერთგულ და კლასსიურ ჩაგვრამონებას, უებრა მშვენიერებით უგალობდა თავისუფლებას, შეგვაყვარებდა ძმობა-ერთობას, თანასწორობას!..“ („ჩ. კვ.“) „დღეს ჩვენი მოვალეობაა რაც შეიძლება ფართო მასსის გავაცნოთ დიდებული მგოსნის ვინაობა... ხელი შეუწყოთ უფრო საფუძვლიანად, უფრო შეგნებით შეისწავლას მისი უკვდავი თხზულებანი.“ („მათ.“) „შურდულის“ რედაქციას უნდა გამოარკვიოს, ვინ იყო ილიას მკვლელი...

მაშ დანდა დრო სინანულისა?

ძველი სურათი ცოცხლათ თვალ წინ სდგას, და ხსალი მას ჯერ ვერ დაფარავს!

ილიას ბიუსტი ხომ დამსხვრეულია! მისი თხზულებები ხომ დამწვარია! ერთის წლის შემდეგ მკვლელის ძებნა გვიანაა... ძნელია. *)

ნ. ლორთქიფანიძე.

არმულია მონასტერი

მგონი, ანბანი რო ჩავთავებ და ამოსაღები დავიწყებ, იმ დღიდან შეუდექი გაზეთების კითხვას... მისთანა დღე არ მეგონა თუ გამოერეოდა, რო მე გაზეთი არ ჩემებულბულებია, და ახლა...

აგერ მეორე კვირა, ნამდვილათ გავექეცი გაზეთებს—სოფელში გავეპარე. არც ამბავთ მინდოდა გამეგო რამე ოსმალეთისა და სპარსეთის კონსტიტუციებისა, ნამეტურ ოსმალეთისა, თვარა გაზეთებში ამ ამბების კითხვამ ხო გამასივა და გამხეთქა გულზე...

ამ ოსმალეთში მაინც რა დიდებული საისტორიო ამბავი მოხდა, იმ ოსმალეთში, რომელიც უმტარვალეს სახელმწიფოთ გვყავდა წარმოდგენილი.

ფადი-შაჰი - მზე და მთავარე მიუწდომელი დაჩაგრულ, მონა ქვეშევრდომთათვის; კარის კაცნი და ქეშიკნი მისნი ჯალათნი და მუსრის გამვლებნი

*) ყოველ შემთხვევაში ჩვენი რედაქცია რითაც კი შეუძლია მზათა პირველ მოთხოვნისთანავე დაეხმაროს საქმის გამოკვლევას. ჩვენ თუ ჯერ თვითონ არ ვკიდებთ ამას ხელს, ერთი, არ გვინდა სხვის დაწყებულ საქმეში მიუწვევლათ ჩავერთოთ და მეორეც—იმედი არ გვაქვს საქმის ხეირიანად დაგვირგვინებისა.

მოქრთამენი, მაწამებელნი მკვიდრის ერისა და უმეტესათ კი დამტანჯავნი ოსმალეთში მცხოვრებ „ნიოროდცებისა“.

აგერ რაცა ხანია გვესმის,—ოსმალთა ახალთაობა მოქმედობსო, მუშაობსო...

ნახეთ ნაყოფიც!

წვეთი სისხლი არ დაღვრილა, ერთი თოფი არ გავარდნილა... ჯარი ხალხს მიემბრო, მიემბრო კი არა—წინ მიუძლოდა ყველგან... იზრიალეს, და ხალასი კონსტიტუცია! ძმობა—ერთობა... ოსმალნი სერბიელს ჰკოცნის, არაბი ბერძენს, მაკედონელი ურიას, ქურთი სომეხს, ალბანელი ლაზს... კავშირი ძმური... სიყვარული! ჩვენ? ჰმმ!

ბანოჯასა და ფარცხანაყანევი აღმოვაშთინეთ პროლეტარიატი, ესენი სრულიად რუსეთისა, რუსეთისა კი არა,—მთელის ქვეყნის პროლეტარიატს დავუაფხანიკეთ, გაუდევით მხარზე ვის წალდი, ვის თოხის ტარი, დაქანგული ჰეპერას სეული კაჟიანი თოფები და ეს დიდებული არმია გამოაუშვით ბრძოლის ველათ.

გაუნათლებელი, აზიელ ოსმალელი ოცი და მეტი წელიწადი მუშაობდა თურმე ჯარში, სამხედრო უწყებაში... ნაყოფი?—ვხედავთ!

ჩვენ—შეგნებული, გავეროპიელებული, მარკსენგელსის ჩამყლაპველნი, კუხსა და გოდოგანში შევსკუბდებოდით მუხის ჯირკვებზე და ვყვიროდით, მარა რას ვყვიროდით, დილიდან სალამომდის ვქაქანებდით, ოფლი ღვითქათ გადმოგვდიოდა, ტანი-სამოსს ერთიანათ შემოვიფხრეწდით აღელვებისა და აღტაცებისაგან... ნაყოფი?.. ვნახეთ და ვნახავთ!..

ძან ხო გვეწყინა, ამას წინათ რომ ერთმა წარჩინებულმა პირმა სთქვა **პარლამენტი**: მადლობა ღმერთს, ჯერ ჩვენ არც პარლამენტი გვაქვს და არცა კონსტიტუციაო,—მარა ისე ჩვენ შორის, ძმურათ გავტყდეთ, — მართალი ქე სთქვა.

არეულია მონასტერი!

არ გაგეცინება?—ამას წინათ ერთ კაი რუსულ, მართლა კაი გაზეთში წავიკითხე:

აი, რას ნიშნავსო, როცა სამაგალითო მეზობელი გეყოლებოა და მისგან მაგალითს აღებო: ჩვენ — რუსეთმა—პირველ მივეციტ მაგალითი—მოგვყვა ოსმალეთი და ახლა სპარსეთიც ცდილობსო. კონსტიტუციაზე ჰქონდა გაზეთს ბაასი...

სამაგალითო მეცნიერ პროფესორებს ექსორია, ჩამორჩობა, მათრახი, კონდახი, ცივი ქვეყნები—ეტა ნიჩავო!

ჰოდა ამისთანა აქია-ბაქიას კითხვას არ გავტყვოდით. . ველარ გავუძელი!!.

ბევრმა სხვა გარემოებამაც ამომიძუა მე ქალაქიდან. მომბეზრდა იმის ყურება, რო ყოველ გოროდოვოს და აქარელს თავი იმპერატორი გონია და მუჯღუფუნსა ქართული მწერლები და მათრახს უპრაგონოთ აქნევს.



ნიკო ნიკოლაძე

(დაბადებიდან 65 წლის გამო დაიბადა 14 სექტემბერს 1843 წ.)

ინათ ჩაიარა. ახლა, ვერა! გზა!.. არა თუ ჩემებრ მსხვილს, თვით წვრიმანთაც...

კონსტიტუცია?!

არეულია მონასტერი!!

გოცირიძის კვანტი.



ყვავის მოთქვა

მსურს დავყნოსო ტურფა ყვავილს,
გადავკოცნო ნაზი ია;
მსურს ვეწაფო ზამბახს გაშლილს,
და სხვას... რაც კი ლამაზია.

**

მსურს წავბაძო მღერალს ბუღბუღლს;
ჩავეკონო ვარდს გაშლილსა
სოსანს, იას, ზამბახს, სუმბულს
დავმღეროდე ჰანგებს ტკბილსა.

**

მსურს ყველა ეს... და სურვილი
სურვილიადვე მუდამ მჩჩება;
ყველასაგან განდევნილი—
ახლოს არვინ მეკარება.

**

ბედისაგან ვარ დასჯილი,
ველარა ვგრძნობ ნეტარებას,
ვერ მელირსა მღერა ტკბილი,
ვერ ველირსე ყვავილთ კრეფას!!.

ი. გრიშაშვილი.



ქართული ხელოვნება.

ქართული ხელოვნება



დimitრი არაჩიშვილი

დimitრი არაჩიშვილი (არაჩივეი) ქართული მუსიკის ნიჭიერი მოტრფილე და მკვლევარია დაიბადა 1873 წ. კავკაზში. შთამამავლობით მოზღოკელი ქართველია. სწავლა მიიღო კავკაზის სამოქალაქო სკოლაში. 20 წლამდე უკიდურესა გაჭირვება და სიღარიბე განიცადა, 21 წლისამ შევიდა მოსკოვის ფილარმონიაში, რომელიც დავით სარაჯიშვილის შემწევობით დაასრულა. ამ ჟამად დ. არაჩიშვილი მოსკოვში სცხოვრობს და შრომობს ქართულ მუსიკის ასადორძინებლად. მისი წიგნი ქართ-კახური სახალხო სიმღერები გამოსცა წერაკითხვის. გამავრც. საზოგადოებამ. დ. არაჩიშვილი იშვიათი ენერჯისა და მეცადინე კაცია. ამ ჟამად იგი სცემს საკუთარ მუსიკალურ ჟურნალს „მუსიკა და ცხოვრებას“ არაჩიშვილი. ყოველ წლივ მოგზაურობს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში და აგროვებს ხალხურ სიმღერებს,

მთიული და ბალი

(არაკი)

ერთი მთიული ბალის უნახავი ბარად ჩამოვიდა. ნახა ბალი. შევიდა, ყველა დაათვალიერა, ძალიან მოეწონა და ღმერთს უთხრა:

— ყველა კარგად გაგირიგებია. ყველა მცენარეებისათვის შესაფერი ნაყოფი მიგიჩინიაო. მცირე ბალახისათვის წვრილი მარწყვი მოგიბავს და დიდი ხისათვის—მსხვილი ინდის კაკალი. დიდება შენს განგებას, უფალო!


მიიარ-მოიარა და ინდის კაკლის ხის ძირს დაეძინა. მოვიდა ფარშვანგი, ხეზედ შეჯდა, კაკალი ჩამოაგდო, მთიულს თავზე დაეცა და გაუტეხა.

**

შვილო, ქვეყნის გაჩენის დროს ღმერთს შენი თავის დარდი როდი ჰქონია.

რიშ—ბაბა.





ბიურაკრატული „კულტურა“ ჩვენში.



„კულტურის“ შედეგი.

მონოლოგები

ჩემო მუზა! რომ იცოდე პაწია გული შენს მოლოდინში როგორ შემომკვნესის და მისუსტდება. მაგრამ ზოგჯერ კი ისე მძლავრად სცემს, გეგონება ქვეყანას შესძრავს მისი ფთხრიალი; თავი კი სჭექს, გონება დუღს, ძარღვები ყველა მითრთიან, რადგანაც ვგრძნობ შენ სიახლოვეს და ბედნიერი ვარ...

ოხ, ჩემო მუზა, ძლიერო უძლიერესზე! ქედს მოვიხრი წინაშე შენდა და მოწიწებით ვეამბორები შენს გამხმარ მუხლებს. გახსოვს ჩემო მიგობარო, იმ დღეს სოფლის წინ შენგნით შეხუთულს, დამონავებულს რა ხმებზედ მათამაშებდი? გახსოვს ყოვლად უბედურს უგზო-უკვლოს მაგრამ ბედნიერს გულში რა ნელ ცეცხლს მიღვივებდი; რა რიგად მწვაედი, მათახსირებდი, მაგრამ გამოფიტულ თვალებში ნამი ცრემლიც კი არ მომდიოდა. მხოლოდ ოდნავ ვცახცახებდი. ჩემი მკრთალი, თითქოს სიწმინდით სავეს სახე დაღონებულ მთვარეს ემსგავსებოდა. ჩემი თვალები, ღმერთო! ჩემი თვალები სიყვარულით მიბნედილ მშვენიერ მონის თვალებს ემსგავსებოდა. ვითა აჩრდილი იმ არე-მარეს სიხარულის დროს ისე ველტოდი, თითქოს ვშიშობდი არ დამემძიმა, არ დამექელა მიუდგომელი მისი გზაკვალი. გრძნობისაგან მიძინებულ ჩემს გულში მშვიდ ცეცხლთან ერთად ხალხისადმი ძლიერი სიყვარული დვიოდა. მიყვარდა ყველა, მაგრამ უბედური ბედნიერს რიდასთვისაც გამოუთქმელად და უსაზღვროდ მებრალეობდა. მთელი ქვეყანა ტანჯვა მეგონა, თით-

ქოს ჯალათად თავი მიმაჩნდა და უჩუმრად, თუმცა კი ტკბილად ღირსეულად ვიტანჯებოდი, ვიტანჯებოდი ვით უღონო, მონა მორჩილი. სიცოცხლე მკაცრად მეჩვენებოდა... მეშინოდა... სიკვდილს ვეძებდი, მაშინ მზად ვიყავ ცივს მუხლებში მაგრა ჩაგკროდი, რომ ის გრძნობა, ცეცხლი ჩუმი, სამუდამოდ მასავით გაციებულიყო.

ისიც ხომ გახსოვს, რომ დიდ ქალაქში, ვით უღაბნოში ცოფიან მგელსავით მალრიალებდი, მშიერს და მწყურვალს, სავეს ქუჩებში დახავსულ კბილებს ძლიერ ვეფხვსავით მაკრატუნებინებდი. გახსოვს, ბოროტს და ავს მთელი ქვეყანა ბოროტებათ მეჩვენებოდა. ყველანი მძულდა, ნადირივით ყველას უფრთხობდი... მეზიზღებოდენ. გახსოვს, ვის შეეძლო მაშინ ჩემ წინ დადგომა? ვის შეეძლო ჩემთვის სახეში შემოეხედა, როდესაც თვალები ჩემი ჯოჯობეთური ნაპერწკლებით ქვეყანას სწვავდა; როდესაც დაღეული ჩემი მკლავები მუქარით სჭექდნენ, ჰაერში მოდერებულნი? ვის შეეძლო ჩემი გულის მოპოვება, თავის შებრალება, როდესაც გული ჩემი ქვეყნის სიძულვილით ივსებოდა. დუღდა. დუღდა ბოროტებით და ქვეყნის სისხლით ძღებოდა.

ისიც ხომ გახსოვს, ჩემო მუზა, ჩემო ძლიერო, ქოროხის პირად ძველ ციხეზედ გულმა რა ხმაზედ ამოიკვნესა. გახსოვს შურის ძიება, მისწრაფებამ სუსტი არსება რა ძლიერად შემქმნა და აღმაფრთოვანა. გახსოვს, რა რიგ ველტოდი იმ არე-მარეს, სადაც ძირს, ვიწრო უფსკრულში, მდევე კლდეთა შუა მშვიდი ქოროხი ნელი ბუტბუტით იზლანენ-

ბოდა? სადაც ზეცად აყუდულ პირამიდათა მგზავს მთებს ჩამამავალი მზის სხივი სიყვარულით თავს ევლებოდა, გულში ეკვროდა. მშვიდი ქორხის ბუტბუტი კი მათ ტკბილად ახმაურებდა, სიცოცხლეს ჰფენდა. გამოღმით კლდეზედ გამოქვაბულთან არწივი მძლავრი თითქოს ქვეყანას ურისხდებოდა. თვალეზ დაკარკლულს, ბორბტს და აეს ის არე-მარე მისგან მოთხრილი, თითქოს სძულდა, იწყევლებოდა. სწყევლიდა მედიდურ მთებს, სყველიდა მათ სიმშვიდეს, ქორხის დუღუნს, სიოს ხუმრობას, რომელიც მას მოსვენებას არ აძლევდა: ყოველ დაბერვაზედ კენწეროზედ მჯდომს ნელა არხევდა, ბუმბულს უწეწდა უფრო ქვემოდ-კი, ქორხის პირად, ციცაბო კლდეზედ განმარტოებით აღმართულ ქართველთა ძველ ნაშთს, სადაც მე ვიდექ, თითქოს სიშურით და სიძულვილით თავს დასჩხაოდა, ემუქრებოდა. ის კი მშვიდი, ამაყი, ბრძოლით მოღლილი მრავალჯერ ტანჯული, წამებული, მაგრამ მუდამ შეურყვევლი თითქოს დაცინვით გულ გასახეთქად ქვემოდან ზემოდ დაკარკლულ თვალეზში შესჩერებოდა. უბედური! მე კი თითქოს ველარ მხედავდა, ვერ ხედავდა დაბრმავებული მისი თვალეზი, რომ მის დანგრეულ, მაგრამ ლამაზ კედელზედ მიყუდებული შენით ვიყავ, ჩემო მუზა, მე იქ ძლიერი, უდიდესი, გმირთა გმირი, თითქოს თვით ღმერთიც. გახსოვს, რა რიგ ტოკავდა ეს ჩემი გული ქვეყნის შეცვლისთვის, რომელიც იმ წამს სუსტს, უღონოს და უმნიშვნელობას წარმოადგენდა. რა რიგ მინდოდა ხელ მოპყრობილს იმ ერთ წამში იგი ხელთ მეგდო, ან შემეცვალა, ან სასიკვდილოთ ფეხ-ქვეშ მეთელა და შემესვრა. გახსოვს, სწორედ იმ წამს, როცა გულის თქმა, ძლიერება ჩემი იმედის მინდოდა მისთვის გამეზიარებინა, ართვინის ქვემოდ „ყაზახებმა“ საღამოს ზორით ის არე-მარე ააკენსა და ააქვითინა. სულ გაკმენდილს მოაგონა მან მისი ყოფა, მოაგონა მისი დღენი აწმყო, წარსულნი, მაგრამ სანამ დინ მისი მკვახე ხმა შორს, მთის წვერებს გააჟროლებდა, აღტაცებულმა მეც დავძახე ძლიერი ხმითა, დავძახე მედგრად, დავაყრუე მის გლოვის ზარი და ჩემს გარშემო გოდების ნაცვლად ყველა სიცოცხლით მე გავხარე. მალლა კი არწივს ხმა ჩაუწყვიტა, არა სჯეროდა ჩემი გულის თქმა, ჩემი სიმღერა; სიტკბოება ძლიერი ხმისა თავს უბრუებდა და აშტერებდა. ქვემოდ კი „ყაზახს“ დამონავებულს ზორი ხელიდან ძირს გავარდნოდა და ხევის პირად სიხარულით აქვითინებულ ქართველ ლამაზ თურქს შენდობილივით გულში ეკვროდა. მე კი ვმღეროდი, კლდეს ვეხვეოდი, ცას შევხაროდი, სიოს

ვეტრფოდი, რადგან მჯეროდა, მუზა მითხრობდა, რომ მომავალი, როგორც ძლიერს, მეც შევტყუებოდა. მღეროდენ ჩემთან შორს საღამო კლდეში მალლა მთის წვერზედ ტყე კასკასებდა, ციხე კი ჩუმად, სიხარულით თითქოს კენესოდა, მის კუთხეშიდგან შევების ოხვრა გამოისმოდა. მღეროდენ ჩემთან ნანგრევში პირ მოტეხილი დიდი ქვევრებიც, ლედვის ხე კოშკში ამოწყვედული ნელი შრიალით ბანს მოძახოდა, თითქოს იძახდნენ: არ გვეშინიან აღარაფრისა, ტანჯვა-ვაება მოწად ყოფნის დროს კერპად გვაქცია, შურის ძიებამ გამოგვაფხიზლა, ავგამხედრა, ძლიერად შეგვკმნა.

ცქვიტი



ჩემი შურდული

უარ ვყავ ხანჯალ-მახვილი.
 შურდული ხელში ვიპყარი,
 სულ ყირამალა ვატარე
 ვისაც ნიშანში წავკარი.

არ მინდა ხანჯალ-მახვილი —
 ორივე სისხლის მსმელია,
 მიყვარს მე ჩემი შურდული
 გაჭირვებულთა მხსნელია.

არ მოსწონს ჩემი შურდული
 ზოგიერთ ვაჟბატონებსა,
 იცის თუ მოხვდა ნიშანში
 მიბეჭავს, დააღონებსა..

ხელს ვერ ავიღებ შურდულზე,
 განვაგრძობ მტერთან ბრძოლასა,
 რაც გინდა მეუქრებოდნენ
 ვერ მოვშლი იმის სროლასა!..

რაჭველი შურდული

ლ ა მ ე

(მირესი)

ლამაზა წყნარ შუქს ჰფენდა ოთახში. ფანჯარიდან მოსჩანდა ღამის წყვლიადი. ლოგინზე იწვა ალაშინანი. სხეული უთრთოდა, და მის ეგონა, რომ ყველა ძარღვები დაწყვეტილი აქვს და სტიკია. მას ეგონა, რომ იგი დაბმულია და უნდა გაიქცეს.

სცდილობდა ამდგარიყო ლოგინიდან და ძალდატანებისგან სახე გაუწითლდა, თვალეზი მკაცრად, ბორბტად გამოიყურებოდენ. ვილაც კარს აკაკუნებდა, ვილაც უნდა მოსულიყო.

მან იცოდა, რომ საშიში იყო, და ვერ წასულიყო. და თვალთვან სცვიოდა ცრემლი, წმინდა, ცივი ცრემლი, და ნელ-ნელა ჩამოსდიოდა მკრთალ სახეზე.

ყოველი ცდა უნაყოფო იყო. თავი უკან გადილო, თვალები დახუჭა, გული, თითქო არ უცემდა.

რალაც გამოურკვეველი გამოჩნდა კარებში.

— რა არის მანდ?

— ეს ჩვენა ვართ, ხალხი.

— რათ მოხველით, რა გინდათ? მთლად აკანკალებული, აღელვებული შეეკითხა ადამიანი.

— ჩვენ მოველით შენის სულის გასაჩხრეკათ, მოველით გაასინჯათ, თუ რა დანაშაულობაა მასში, რა არის მასში სამარცხვინო. ყველა ამისთვის შენ სასჯელი მოგელის. ადამიანმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— მხოლოდ ამისთვის მოხველით? ეგ სული წადებულია, გათელილია ათას ფეხქვეშ. მეტი არაფერი დამჩენია.

მან დახუჭა თვალები.

კარებში გამოჩნდა ახალი ხატება, მშვიდი და ნათელი. ჰაეროვანი ტანისამოსი კობტად ეკვროდა მის ლამაზ სხეულს. მკრთალს, მაგრამ ნათელ სახეზედ უბრწყინავდა თვალები. თვალები მისი შიგნით იყურებოდნენ, ირგვლივ არაფერს ხედავდნენ.

— რა არის მანდ?

— ეს მე ვარ, სიმარტოვე.

— შენ მოხვალ იმისთვის, რომ სამუდამოდ ჩემთან დარჩე?

— ჰო, ჩვენ ვიცხოვრებთ ერთად, ერთად განვითარდებით. ჩვენ ავალთ მაღალ, ცივ მთებზე, სადაც ყოველი საცოდავი, უმნიშვნელო იღუპება, სადაც ცხოვრობს მხოლოდ დიადი, თავისუფალი. ჩვენ ჩაიხედავთ ჩვენის თვალებით ჩვენს შიგნით, ავალთ ზევით, ზევით...

— მერე რალა იქნება?

— მერე სიკვდილი.

— მხოლოდ?!

და კაცმა თვალები დახუჭა.

ლამაზა ნელ-ნელა ჰქრებოდა. ფანჯარაში შუქი მოემატა. ახლოვდებოდა დილა. მკრთალი, უფერული იგი არავის არაფერს არ ჰპირდებოდა.

ს. კაცხნარელი.



კ მ ტ ა რ დ ე ბ ი *


ხალხის განათლება — კეთილდღეობისთვის უბადლო მესვეურის და ხალხი თვით ცნობიერებაში ნათელი შუქის შემტანის, მცხოვან რუსეთის მწერლის, **ლ. ნ. ტოლსტოის 80 წლის იუბილეის გამო**, სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ დედას ვუჯირებთ ვინც ამ იუბილეს იღვესასწაულებსო, რადგანაცაო, განმარტებს სამინისტრო, ტოლსტოისთვის ისიც მეტია, რომ იმ მიმართულების და იმ ხნის კაცი დაიარება რუსეთის საზღვრებზეო.

ამ რაზდენიმე დღის წინედ შემთხვევით გავიარე მეორე საპოლიციო ნაწილისაკენ (თორემ უმისოთ ვცდილობ ამ სახიფათო ადგილებს შორით მოუარო, რომ შინ მშვიდობით დავბრუნედ ხოლმე) და იმდანი სხვა და სხვა სასწავლებლის შავირდომა თავ-შეყრილი ვნახე, რომ ვიფიქრე **ლ. ტოლსტოის იუბილეს** თუ დღესასწაულებენ მეთქი, მაგრამ რომ გამოვკითხე: აღმოჩნდა რომ ზოგს მათგანს ღერბი ქუღზედ ბრუდეთ გეყვებინა, ზოგის ხალათს ორი ღილი ჰკლებოდა, ზოგს გოროდოვოსთვის დროზედ ქული არ მოეხადა და ამ გვარად, ახალ განკარგულების დარღვევისთვის, დევბატირებინათ ეს ურჩი მოსწავლენი...

ზოგიერთი ჩვენი ახალგაზდა მწერლები ამას წინეთ ამტკიცებდნენ ვაზ. „ამირანის“ ფურცლებზედ, რომ თუ სურს ქართველ საზოგადოებას აღორძინდეს ჩვენი დაცემული სიტყვა-კაზმული მწერლობა, ყველა ქართველ მწერალს (განსაკუთრებით ბელეტრისტს) უნდა დეინიშნოს არა უმცირესს სახელმწიფო დეპუტატის ჯამაგირისა, ამისთანავე მივკეთ მუქთა ბინა, გათბობა-განათება, მოსამსახურე და დაარსდეს ერთიც ღვინის პაივალი, განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლებისათვის, და ეს პადვალი უნდა გაიხსნას ილიას სახელობაზედ შეკრებილ განმანათლებელ ფონდიდანაო.

ესდეთა ორგანოს ხელმძღვანელებმა წინადადება მისცეს ესფერებს: რადგანაც ილიას ვერაგულად მოკვლის შემდეგ ერთ წელიწადზედ მეტი გავიდა, ვინც მისამალი იყო — თავს უშველა და ხალხის აღშფოთებული გულის თქმაც, შედარებით, ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. — ენლა, თუ გსურთ, ერთად შეუდგეთ ილიას მკვლელების ძებნასაო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ ადრეა, რადგანაც „ნემსკოი დენოსტის“ გასვლამდის ბ ვრი დროა...

* თუმცა, მკითხველო, ჩვენი ცხოვრება საზოგადოთ და პირადთ ჩემი — განსაკუთრებით, სრულებით არ არის მოწყობილი საოხუნჯოთ და აკაკის თქმი. ა არ იყოს სიცილი სწირად ცხარე ცრმლზედ მწარეა, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობა ისრეთი შედგარი დი მძლავრი ცალდაა, რომელსაც არ ძალუქს გაუშკლავდეს კერძო პირი და თვისდა უნებურად ემორჩილება და გასდევს ამ სტიქიურ ძალას...



რადგანაც **ოსმალეთის ხალხს გამარჯვებით** მოპოვებული კონსტიტუცია, აგერ რაძღვნიმე თვეა მშვიდობიანად და წესიერათ მიმდინარეობს და კონტრ-რევოლუციისა არაფერი ისმის, ეს, თურმე, მოხვენებას არ აძლევს „ქემმარიტ“ რუსებს, რომელთაც, მაძა ევლოგის ლოცვა-კურთხევით, გადაუწყვეტიათ; ოსმალეთში, რეაქციის ასაღორძინებლად და „პოვრომების“ მოსაწყობლად გაგზავნონ: გაზ. „ნოვოე ვრემის“ კაცი ჭამია თანამშრომელი, იუდა-მენშიკოვი, კრუშევანი, პურიშკევიჩი, დუბროვინი, მ. ევლოგი და ვოსტოროგოვი.

წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში სამი ტანტი (კრაოტი) დაუდგამთ, სადაც მორიგეობით ისვენებენ ხალხმე კრებაზედ მიწვეული, სხვა სამსახურში დაღლილი, გამგეობის წევრები... ამიტომაც, რომ ჩვენში სკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსების საქმე კუს ნაბიჯით მიდის.

ქალების ეპარქიალური სასწავლებლის შენობა მთელი ზაფხული ვერ შეუკეთებიათ, ეტყობა სიცხეების გამო და ესლა შესდგომიან ურმით ორი კურდღლის ჭერას: თან შეგირდებთან მეკადინებენ და თან შენობას „რემონტს“ უშვებინან, ამიტომაც პანსიონის თითო საწოლზედ (კრაოტზედ) ნაფოტებივით ხუთ-ხუთი შაგირდს აკრავენ თურმე...

ბაქოდან გვატყობინებენ, რომ იქაურ ქართველ საჰკვლ-მოქმედო საზოგადოების ქონების „რასპარადაჟა“ დაუნიშნავთ, რადგანაც ის პირნი, რომელნიც ამ საქმის სათავეში უდგნენ, — ძველები კომერციამ იძღონად გაიტაცა, რომ თითქმის თავიანთ თავებიც ბალახანის ბაზარზედ გაიტანონ და ახალგაზრდობიდანაც ზოგი დაცოლიანდა, ზოგიც აპირებს და ამ გვარად, უმრავლესობას „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზედ დაიკიდა...“

ახალციხელ კარგად შეძლებულ მემამულეს, — ბელიანს ფუთ ნახევრიანი ზარი შეუწირავს ნ-ს ეკკლესიისათვის, რისთვისაც იქაურ ქართველ საზ. რწმუნებულნი, ბ. ათაბეგოვი და სხ., იწვევენ ყველა ახალციხელს, სადაც გინდა იგი იმყოფებოდეს, თითო პარაკლისი ყველგან გადაანდვინონ შემომწირველის სადღეგრძელოთ.

მეორე მდიდარ **ახალციხელ ექიმს** კიდევ, ილიას სახელობაზედ და თავისდა სასარგებლოთ ასი თუმანი კიდევ მოუმატებია ბანკში შენახულ ფულისთვის.

ბ. ანტონ ფურცელაძესაც გადაუწყვეტია ილიას სახელობაზედ ერთი მომგებიანი ბილეთი შეიძინოს და თუ მოიგო (ბილეთმა) ამ მოგების 1/2-ი გადასდოს ილიას ფონდის სასარგებლოდ...

რადგანაც **გაზ. „ფულების ფურცელს“** (ნოტილ. ლისტ.) თუ ვინმე ნიჭიერი თანამშრომლები ჰყავდა, ისინიც ჩამომორდნენ, გაზეთის პატრონებს, ძმა-ბაჭებ ხაჩატუროვებს, ჯიბრზედ გაზეთში გაუხსნათ ახალი განყოფილება... განცხადებებისა.

ბ. სოსიკო მერკვილაძე ირწმუნება თავისი „სავაქრო გზაში“, რომ სულ ტყუილია მშრომელ ქალაქის მთავარ ბაზ, ხალხის კეთილ დღეობისთვის თავდადებული ქრისტიანები და თვით სოციალიზმიცო. ტანჯულ ქვეყანას თუ იხსნის ისევ წვრილი ვაჭრებია. . ღმერთმა „გზაც“ დაულოცოს და „სავაქროც“.

ერთი მეტად **ახირებული** და თავისივე თავის უნებური მტერი, **მეგობარი** მყავს; სიკვდილისა ეშინია და თუ მოჰკრა ყური რომ ამა და ამ ავადმყოფობას უტრიანო; პირველი კლიენტი ყოველთვის ის არის ხოლმე. რა ავადმყოფობა გინდათ, ბატონო, რომ იმას არ ეეცრას: ყვავილი, ხუნავი, ავისენი, ციებ-ცხელება და რა ვიცი კიდევ რა! ხოლერის აცრის ამბავიც გაიგო თუ არა, ვედარაფრით შევაკაკე: ბევრი ვუმტაკე, რომ ნახევარი ქალაქიც რომ ამომწყვდარიყო, ხოლერა იმის „სიფათს“ არ მოეკარებოდა და რომ ხოლერით მომკვდარიყო კიდევ, იმის სიკვდილს ისევ მე და იმისი მოვალეები თუ დავინანებდით, მაგრამ არაფერმა გასჭრა! აიცრა, მაგრამ მისცა, ბატონო, ისრეთი სიცხე, რომ საექვთა ამის გადარჩენა! დავ ბივარ მთელი დღე ცალკე ექიმებთან და ცალკე მოვალეების დასამშვიდებლად... ნეტავი, თქვენი დღეგრძელობით სასულოლის აცრასაც გამოიგონებდნენ; ეს ხომ ვიცი პირველად ჩემი მეგობარი აიცრება, თუ ამ სიცხეს გადურჩა...

გ. ა—ციხელი

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

ლანჩხუთი. ბაზარ მიკიტების დათვალიერება. მაღალმა ღმერთმა მოგვივლინა ახალი მსაჯული. მსაჯულმა თავისი მობრძანება აღნიშნა ამ რიგად: გამართა სადილი, მოიწვია ადგილობრივი ბოქაული სტრუენიკებითურთ, მიირთვა სადღეგრძელო იმისი, ვინც მას ლუკმა გაუჩინა მერმე სტუმრების თანხლებით ჩამოუარა ბაზარს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ღვინის საწყობებს და ბევრ გაბერილ რუმბებს გადაუსვა თავისი ფუნთუშა ხელკბი. მიკიტებს გაააცნო ვინცა ბრძანდება იგი. მიკიტები მის წინაშე თავს იხრიდნენ, ხოლო სხვები შურით შეჰყურებდნენ მათ.


გრიგოლ კროჭი

ძშთანისი. მარილი წერილისათვის. ამით ვაუწყებ „ნიშადურის“ მკითხველ საზოგადოებას, რომ ზაბუსტა ქელბაქიანს გუშინ მოუვიდა ორი ვაგონი მარილი. დღეიდან მისი წერილები უფრო მარილიანი იქნება.

მიცნობს

სურამი. მოაგარაკეთა კომიტეტი. სააგარაკეთა მოსული ხალხი ისე გაიყვლითა „ბლადოტვორიტელნი“ წარმოდგენებით, რომ გზის ფული აღარ გააჩნიათ შინ დაბრუნდნენ. შესდგა წრე: „Комитетъ по отправкѣ неимущихъ дачниковъ“. ფონდის გასაძლიერებლად უნდა გამართოს ქართული წარმოდგენა. მონაწილეობას მიიღებენ პოვრები, ლაქიები და სასტუმროს პატრონები. დაწერე საზოგადოება შესდგება განსაკუთრებით ადგილობრივ მცხოვრებთაგან. პიესა შეუკვეთეს ახალგაზდა დრამატურგ-ქალს ნ. გიგაურს. რადგან ყველა დღეები დაჭერილია თეატრი კიდევ საქველ-მოქმედო წარმოდგენებით, პირველი წარმოდგენა გამართება 24 დეკემბერს.

მგზავრი



ძუთანიშ შავი ქვის საბჭოს გარშემო. ჩემდა საუბედუროდ მარგანეცის საბჭოში ვიახელით, ეს მესამე წელიწადია, რაც იმ დასაქმებულთა რაიონი თუმანი ხორცის ნივთიანობა მათს ახალგაზრდას, იაფ ფასიანი სასაღებოში, რომ ქველენი ქონდათ ცხელ-ცხელ „კატელტებზედ“ „აფხანიკებს.“ აი, სწორედ ამისათვის მომიცა ფეხი... შესვლის თანავე, ვილაც ფილიპე ყოფილა დამიხვდა და როგორც კი მომყარა აკიბულ-ჩაკიბული „პარუსკი“ „გიორგი ნი პრინციპალი“ ნიკაო. დენგი ნიატ, ბუნგალტერუ ნადოელი, ოჩენ სერდიტ!.. კაკე ვრემია ტეპერჩი დენგი პრასიტ!“ პურის ფული არ გვაქვს, შენ ვინ რას მოგცემს და სხვა... იმე! მომწალა გამანადგურა კაცი!.. ერთვად დამიპნია გამოწყობილი ახარი... იმე! იმე! იმე! რა ყოფილა ეს ჩემი ცოდვით ჩავსე?! გადავიტანე აუტანელი შიმთხვევა!.. შეგელი კარიდორში და ავეტუზე კედელს „ვეშალკასთან“ ფანჯრის მახლობლად მგლოვიარესავით.

კაცის თვალი რას ნახავს უკეთესს?.. არის ტრიალ-ტრიალი, მისვლა-მოსვლა, ფაცი-ფუცი, აქ ხარებს რეკენ, იქ ტელეფონებზე იძახიან, თან იმდერთან, ზოგი ჩანს თხოვლობს, ზოგი მაწონს, ბუღკს, ერთი სიტყვით ვისაც რა ხსიათობს იმას ბრძანებს. შედიან და გამოდინან ღობიან-ღობიანი „ბურჯუები“, ლამაზ-ლამაზი „ბარიშნები“, გატკიცინებული ქვრივი ქალები, როგორც შვლის ნუკრი ისე ხტუნაობენ... აწყდება მთელი მიღების ქალი და კაცი, ბავშვი და მოხუცებული, მღვდელი და ჩინოვან-კაკარდოსანი. არის სიცილ-კისკისი, ნაირ-ნაირი კოპლიმენტი, გახმობ-გამოხმობით და ათას ნაირი ფოკუსები. ჩემთან ახლო მდგომს შეგვიკითხე დამლიას ხომ არ თამაშობენ მეთქი?... პასუხი არ მომცა, თურმე განცვიფრებულიყო ასეთი უცნაურის სანახაობით. ბოლოს როგორც იქნა გონს მოვიდა. მწუხარების ნიშნად ერთი ამოიხვეწა, თავი ჩააქნია და გზოში გავიდა. მეც გავიხვედე ეზოსაკენ. ვინ გინდა იქ არ იყო. რუსი, ბერძენი, ოსი, თათარი, ზოგი კოჭლი, ზოგი საპყარი, მუხჯი და ათასი სხვა... კაცს ვგონებოდა, თითქოს საპყართა თავშესაფარი ყოფილიყოს საბჭო, შიდ შემოსვლას ვერ ბედავდნენ, მგონი არც უშვებდნენ... ნუ იტყვი. ამიგებსაც ჩემსავით ქანდაკულად ქონათ საქმე. ტუნელში დამარცხებულნი ყოფილან და „სტრახის“ ფულის აღებას ლამობდნენ... ამ ბედისაგან დასჯილებშიაც ძრიელ „პარუსკობდა“ ფილიპე, იყო ხელისი ქნევაში და მწყრომიარეთ ედაიებოდა: ალექსანდრ ივანიჩი ზდეს ნიატ, ჩიატური პერვეელი აგენტომ, ზდეს ნიჩაგო ნილზია, სტუპაი ჭიატური, ზდეს ნი ბოლნიცა, კაკ რანენი მანჯურსკი პოლკ საბრალი ვსე ბალნი...“

ეს იყო და ეს, გაუწყდა რუსული. გულმა რანჩხი მკრა ეს ფილიპე არ იყვეს უფროსიო, მაგრამ გავიფიქრე რისი უფროსი რუსული ერიჭურთულება მეთქი... ამ დროს ჩემთან შავგერმანმა სანდომიანი სახის ყმაწვილმა. იმასაც გაურბინეს აქედან-იქედან ლამაზებმა, ჩაუპარუსკეს, გაუცინეს თვალი უქნეს, მკანი უჩქიპიტეს კიდოც თვალი კარგად ვერ შეგვასწარი და გზა უტეის. ვიკითხე ვინ ობა და მითხრეს „იანონი“ არისო. რაღაც ჩემდა იღბლად მოწყალეებით თვალით ვადმოხვდა და მკითხა „რა გნებავსო“, მეც უხსნიდი ჩემს გაჭირვებას, მაგრამ ვინ გაცალა?! ეს კი, მასხვს მითხრა: ტყვილა დასჯილხართ ჩემო ძმაო, ფული არ გვაქვსო და მოჩვენებასავით გაქრა...

გული მეუბნებოდა აქ დიდი საქმე ყოფილა შენთვის

ვინ მოიცლისო და წამოსვლას ვაპირებდი. საათი ვიკითხე პირველი თავდებოდა.

გაისმა ტელეფონზედ რეკა. ხელათ მივაქრე...
 ლალ-მალალი მოლაპაზო ყმაწვილი დაგეშილი მეძებარავით და ჩამოკრა ზარი, ვინა ხართ?! კლავდია ოსიპოვნა!.. კარგი, კარგი! სადამოს უსათუოთ ვნახავთ!.. ტრ! ტრ! ტრ!—ტრ! ტრ! უპასუხა ამევე ყმაწვილმა. ვინა ხართ? ოლიპია არკადიენა! მე საშა ვარ! შემოიარე ქალო ერთი შეგხედა!.. კისლაოდიდან კარგად ჩამოველი, რომ მნახო გიამებ!.. მოვალ! მოვალ!... ტრ! ტრ!—ტრ! ტრ! ვინხართ! „ია მეთოდ“! აპოლონი მომხმეთ აპოლონი!.. აპოლონიც იქავე იყო. დაურაკუნა. აპოლონი ხართ? დიხ ჩემო... (როგორც ეტყობა დიდი აშოლლანი ყოფილა აპოლონიც) აპოლონი!.. აპოლონი!.. რად გამეგიე ქალი?... ა?... ამ სადამოს გამოიარე იქ!.. სიამოვნებით!.. სიამოვნებით!.. (ბიჭოს! ქალს თუ ავიყვებს, ალბათ თათრული ნუსხა ქონია, „ამან შაირისაგან“ მეთქი ვიფიქრე.) ტრ! ტრ! ტრ! ტრ! ტრ! ვინა ხართ? ოლა!... ვინ ვნებავთ?! კნიაზ ივან ვისარიონოვიჩი!.. არ სცალია საბრკეში იტყობება!.. ტრ! ტრ!—ტრ! ტრ! ვინ... ველუკი ვარ დავითი მიმიხმეთ ტელეფონთან! დრო არ აქვს, მაზოლს ითლის!... რაო? ფულებს ითვლისო? არა!.. არა!.. საბუზგალოტერიო ოთახში მაზოლს ითლის ბატონო!.. ჩემს მაგიერ საყვედური გადავიცი!.. კიდევ გაისმა იმ ვერანზე ტრ! ტრ! აქედანაც ტრ! ტრ! ვინ ბრძანდებით? შეეკითხეთ თუ შეიძლება ვინახულო გიორგი? მე ვლადისლავ იურიევიჩი ვარ! არა შენი ჭირიმი არა! კნიაზ ივანე არის მასთან!.. „ჩორტვაში“! ეს მენუთეჯერაა ვიკითხულობ და ყოველთვის ივან! ივან!... „ნუზა-ჩორტ“!!! ბროკვაუზის ენცილოლოგიას, ხომ არ უთარგმნეს მამაცხონებული ჩვენი გიორგი?... „პროსტო უქას“!!!..

ხუთი საათს უკვე გაველო. გულში გავივლე: კლუბი არ იყვეს არ შემოლოდეს და უიმედოთ უკან გამოვბრუნდი. კარებში გამოვლისას მეთოდი (ასე ეძახდნენ) შეჩვდა, პაპირისი მთხოვა, მეც მივაწოდე და გავსცილდი...

შუა კიბეზედ არ ვიყავი ჩასული ხანში—წესული კაცი შემეფეთა და „ნაოტკიო“ მომძახა. შენს ფულს მალე ავადებინებ, გიორგისთან დაგეხმარები თუ სტეფანე ვყოფილვარო და ულვაშებზედ მედიდურად გაღივდა ხელი... ერთობ მასიამოვნა უცნობის ასეთმა იმედმა და „ნაოტკი“ გავუკეთე. წავიყვანე იქავე „უგოლში“ და სიცოცხლე გაქვს ბარე ხუთჯერ „ვაწკვერტიე“ პილატის ცრემლი. შეიწყლილდა და მოუმატა ლაპარაკს. ამ დროს შემოგვეტრა მეთოდე, სადღაც გავგო ჩვენი იქ ყოფნა მეთოდეს მოყვა ფილიპე, ფილიპეს ისიდორე და აირია მონასტერი!..

რვა ბოთლი „კახეთია“ და ერთი „ტრიცეტკა“ არაყი დავაპირქვავით. ორმა დედალმა, სუკის წვადმა და რვა აბაზიანმა გოჭმა თქვენი ჭირი წაიღო. გაუსვებს და გამოუსვებს, როგორც ქარის წისქვილი. სურათი სასაცილო იყო... ერთბაშად აქობდნენ, რაც ხვდებოდათ ხელში სანოვგე. მე მიხაროდა, სამი წლის ჩაკარგული ნისია, ეს არი გავინადლე ამათი წყალობით მეთქი და იმედი თან და თან მექლეოდა... ნუ იტყვი! სამივე ერთობ დახელოვნებული ყოფილან ჩემისთანების „გაიმასქნაში“ და რისი დახმარება? რისი პურ-მარლი? (გაუწყრათ ჩემი პურ-მარლის მადლი.) თურმე ქანქარსაც მოვლოდნენ ჩემგან, ის ჩემი ცოდვის მტირთველებო...

ასეთ ორომ-ტრიალში დაგყავით შუადლის სამ საათი-

დან დაწყებული, სადამოს ათ საათამდის. ათ საათზე, სად
ლაც გაქრენ ჩემი გამკეთებელ-დამხმარებელი ისე, რომ კვა-
ლიც ვერ გაუგე...

აი ასეთი ამბავი გამოვიარე შავი ქვის საბჭოში ჩემო
მეგობრებო, მაგრამ გიორგი დიხაც ვერ ვნახე, არ იქნა სა-
შველი, იქამდის ვერ მივახწიე და ვერა!..

მოდით და შენ მოთხოვე ქუთაისიდა ჭიათურაში გად-
მოიტანეთ საბჭოთქო! ახირებული მოთხოვნაა, თუ შენც
დამეთანხმები ჩემო პეარე!.. მოწყენილის სახით ემსალათე-
ბოდა ვაგონში მჯდომს მგზავრს, პავლე მოტყვილებულიც
და მატარებელი ორთავეს მიაქანებდა შორაპნისაკენ...


გ. დაუნდობელი.

ს ზოლი ხაქმენი საარ კონი. როგორც ბევრი სხვა
ისე წირქვალის ზემოთი საზოგადოებაც ერთ უმწყო კუნტუ-
ლათ ჩათვლება. მისი მართვა-გამგეობის ბედ-იღბილი ხელთ
უპყრიათ აქაურ მამასახლს გურაბანიძეს და საბოლიციო
დარაჯებს... მათი რეზიდენცია, სასოფლო კანცელარიით და-
ნიშნული შენობა, ფაქტიურათ წარმოადგენს სასტუმრო და-
ბაზს, სადაც ჩაღდება ხან ბანქოს თამაში და ხან ჩვენ-კურ-
თხეულ ნუნუაზე ქეიფი; დარბაზის წინ პატარა მიდამო გადა-
გვიშლის ბურთის სათამაშო, საჭიდავო და მათრახით სავარ-
ჯიშო მოედნის სურათს; განსაკუთრებით ბევრით ცოდნას
იჩენენ: ბანქოს თამაშში მამასახლისი და სამართლის მაძი-
ებელთა მათრახით გამასპინძლებადში ორიოდ დარაჯი, ჯერ-
ჯერობით მათის მათრახის დარიჯაკში გატარებულნი არიან:
ი. და ლ. გამყრელიძენი, ნ. კეკელიძე, ჯაჯანიძე და სხ. — დიხ
სწორეთ ეს პირნი, მთავრობის მიერ ხალხის გამგებბათ მიორ
ცხებულნი, გახლავან ვითომც დაჩაგრულთა დამცველნი, მა-
გრამ მაგარი ის არის, დაჩაგრულმა ვის მოსთხოვოს სამარ-
თალი, ბანქოს თუ მათრახს? აღსანიშნავია, რომ ახალი ხე-
ლოვნების გმირებმა მოვარჯიშე მოწაფეებიც ბლომათ შეი-
ძინებ: ახნაურთა ახალგაზდა ვაჟები და მათგან წაქეზებით
გლენების ვაჟე... (უკაცრავათ) ბიჭებიც. ვაჟებს დიდ სამსა-
ხურს უწევსთ ჭიდაობის და ბურთის თამაშის დროს დიავა-
ნალის მაუდის შარვლები თავისის სიმაგრით; ღვინის სმა და
ვარხ რალეს შემოძახილი ხომ მათივე მამა-პაპური ანდერძია.

გადავკლოთ ამავე დროს თვალი ამათ მარჩენალ მან-
ქანას, მშრომელი ხალხის ნაწილს: დროთა და პირობათა ზე-
გავლენით, ისედაც დაბეჩავებული განიკდის უკიდურეს გა-
ჭირვებას და სულიერ ტანჯვას, თუ დაუსრულებელი მუშაო-
ბით, თუ აუტანელი შ მშობლით და თუ ათას გვარ ბეგარათა
ქვეშ ყოფნით, მაგრამ მიხილონ ძალ-ლოხნით, სხეულის სრუ-
ლიად დადუმებამდის, იბრძვის თვით არსებობისათვის და მი-
სი გაუმჯობესობისათვის.

მამასახლისის გურაბანიძის და დარაჯების არა საპა-
ტივო ქცევას, რომლის დამტკიცებაც ვკისრულობ მთლათ
ზოდის მოვაჭრე-ბით და მცხოვრებლებით, იმედია მთავრო-
ბის ადგილობრივი მოხელენი შეუნიშნავათ არ დასტოვე-
ბენ. — „ამასთანავე ცხოვრებისაგან წამოყენებულ სასტიკ და
გვგრდ შეუვლელ ბრძანებას გამცნობთ თქვენ, ზემო აღნიშ-
ნული სკოლის მოწაფენო და ზოგიერთო ჯველნო ყრმანო!
ტანის მოძრაობის სავარჯიშო ფაკულტეტი დასამარა უკვე
განვლილმა ხანამ, რადგან ის ვარგის ელემენტებს მომავლი-
სათვის ველარ ალგვიზრდიდა. დროა მივევებოთ პატიოსანი
შრომის ფაკულტეტს, ის წავგიკითხავს ჭეშმარიტ სულიერ

საზრდო ლექციებს და ისევე მოგვიმზადებს აზროვნების სა-
ვარჯიშო ასპარეზს.“



გზა და გზა

სურამი ნეტა სად ჩაიყლაპა ის ფულები, რომელიც
საქველ-მოქმედო წარმოდგენებიდან შემოდრიოდა ამ ზაფ-
ხულს?!!

მინაილოვი. ვარძიშვიის ბალაგანში, უკაცრავად თე-
ატრში დანიშნულია ამ კვირის გამოჩენილი ბ. ი - ძის და
გარის უძლეველი ფალავანის იობიძის ჭიდაობა ბილეთები
იყიდება ბ. ბოქაულთან...

პარპარინო. ტუნელში ჩავარდა და დაილუბა გამორე-
ნილი ესდები ალექსი.

ბელაშოვი. დიდი კონფლიქტი მოხდა ბ. თევზაძის
და სცენის მოყვარეთ შორის.

ძიკულა. ამას წინად „დამარცხებულის“ თამაშის დროს
მიწა იძრა, პარტეტი ჩაინგრა და საზოგადოება ყირამალა გა-
დავიდა-გადმოვიდა.

შორაპანი. დანიშნულია „ადგილობრივ კლუბში“
საცეკვაო სადამო, დაუკრავს დეპოს მუსიკა. დამკვერელები აქ
არიან, ხოლო დასაკრავი ბ. თუმში...

ჭიათურა. დრამატიულ საზოგადოებას სიზმარში 400
მანეთი უნახავს.

სახხხი. კენინებს „ლოტოსთვის“ ჯერ-ჯერობით ბოი-
კოტი გამოუცხადებით, რადგან „ფრაბი“ სჯ. უბიანო.

ჰვირილა. ბოიკოტი აქვს გამოცხადებული თეატრს
და ხიდს... ხიდის მოიჯარადრე გრიგოლ დიდს ზარალშია...
პეტერბურგს გაიწვიეს სამინისტროში ბანკის თავჯდომარე
სტრიფონ ნიორაძე და რადგან რუსული არ იცის გააყოღეს
ბუღალტერი თუზანოვი.

ჩიოქი. მატარებელი დგას ათი წუთი... გადასაჯდო-
მია ქუთაისში. ანტრეპენიორმა თეატრი აიღო და დასი ზეპი-
რად შეკაზმა.

მუხიანი. რადგან ხოლერა მოსალოდნელია, აუქციო-
ნით იყიდება ნესვი და ხაბურძაკი.

სამბრალი. თეატრი დიდს „ხოდშია“. მომავალ სე-
ზონს ადგილობრივ თეატრში იღვზს ახალგაზდა სტუდენტი და
ქ-ნი ქილარჯიშვილი.

ლანჩხუთი. ლამაზების მაზანდა დავარდა. ლაპარაკი
მოსვლია ბოქაულს და უტურგაურს უკანასკნელი უხსნიდა
პირველს სიტყვა „დურაკ“...

სუფსა. ბიჭოს?!!

ქობულეთი. სოფლის მწერალ პარმენი და უჩასტკის
ჩინოვნიკი, პარკში, ერთი მეორეს უძახოდენ: შენ ჩემზე ადრე
იყავი უფროსი შპიონი... განდა ორომ-ტრიალი... ბუფეტრიკი
ესდები შორიდგან ულიტინებდა „ძიკი-ძიკი მამალოვო“.

ჩაქმა. „შეკრული ჩაი“, კოტრბანდათ იყიდება.

ბათუმი რკინის გზის თეატრი სიძველის გამო დიდი
მიტ-ნგის დროს (მეოთხე დუმის არჩევანზე) დაინგრა, შიგ მო-
ყვა ოთხი ესდები-იურკვეირი-ვექილი და მისი თანაშემწე ივან-
ივანიჩი გძელი...

„ბიჭი — ბიჭი“

გ ა მ ო ც ა ნ ა

(ქუთაისლებს)

ქუთაისში დაბრძანდება,
თავის გემო ნებასკდა.

კოტეს გული შეუქანა,
ვაჭრულ მკამედებაზედა.

თავი ისახელა მკეწველთ,
მარჯანების კრებაზედა.
მისხურთ შტატის, ჯამაგირის,
ერთობ შემაკლებსაზედა.

ბათლამესაც¹⁾ წააჭარბებს,
უყვარს „დაკლადების“ წერა.
სხვის ადგილის მოტრფიალე,
კაცი არის გაიძვრა.

ზირობი უგელას ეჭვანება,
მხოლოდ იცის განსეუდ ტყერა.
თუ ვინმე ხელთ ჩაუარდა
არის მისი ბედის წერა.

ფელიადი გამოიყურება,
არ სცნობილადს ტანჯულ ძმასა.
გაგიცინებს, იმედს გაძლევეს
და გულში კი ფიქრებს სხვასა.

დაკმარდება თავს ჩააქვეს,
გაძახებს სულ უი-ვასა.
დრო ხელს უწევს — უხარია,
ტანხედ გატლის შვიდ კეც ტყავასა.

სხვის ქონებას ინახუნებს,
მატრახს აყრის თავში ქვასა.
დროა უველამ ჩამომორდეს,
ამ უპირუდს, მუხანათსა.

მამულეები „გამამსქნა“,
არცერთში არ აძლევეს ფასსა.
ასე ვაჭრებს, თავს ინახავს,
სხვა არა აქვს საქმე მასა.

ვფიქრობ არეინ დაივიწყებს,
მისგან ნაქნარს ესდენ ავსა
და განგებაც მასუხს მისთხოვს,
ამ ხულიგანს და შირ-მავსა!...

ბოშა

ქართველები უნგრეთში²⁾

ამ ორი სსში კვირის წინად აქ ერთი ფრიად სან-
ტერესო აღმანი გავიცანი სრულიად შექმთვევით. რა
საკვირველია, თვით ეს ფაქტი თქვენთვის არაფრად სან-
ტერესო არ არის, მაგრამ ის, რაც იმან მითხრა, არ
უნდა იყოს ინტერესის მოკლებული.

1) ეს ის ბათლომეა, რომელმაც თავის საგმირო საქმე-
ებით გაითქვა სახელი შავიქვის მრეწველთა საბჭოში და,
რომლის სასიქადულო მოღვაწეობას ვერ დაივიწყებს კაცობ-
რიობა. იხ. „ნიშალური“ № 15 ბომბასი და „ემ. მათრახი“
№ 32 გამოც. ზარბაზანისა.

2) ეს წერილი მოუვიდა ვენიდან მოხე ჯანაშვილს სტუ-
დენტი ბ. ოქროპირიძის-გან და ებეჭდავთ უცვლელად.
რედ.

სადამო ხანი იყო. მე ბადში ვიკვი და ვსტკებო-
დი მუსიკის სმენით. ერთი მაღალი წარმოსადგენი მუსიკა
ლობის, მოხუცი კაცი მომიასლოვდა და ჩემს გულს
სკამზე ჩამოჭდა. მატრახ ხნის სიჩუმის შემდეგ გაება
მე და ამ კაცის შორის ლაზარაკი. ის უგარელი აღმოჩნ-
და მე კიდევ ვენელი ვიგონე და გამოკითხვა დამიწო-
ვენსაზე. მე ვუპნებოდი, რაც ვიცოდი. მშვენიერი ქალ-
ქია ვენაო, სთქვა მაგრამ ნაკლულეებზე ბუკრი აქვსო. უც-
ბათ შეითხა: თქვენ აქ ელექტრონის ტრამვაია რამდენი
ხანი გაქვთო? მე უთხარი, უკატრავათ, ბატონო, მე ვე-
ნელი არ განლაგართ მეთქი, მეც თქვენსავით სტუმრ-
და კარ, ვსწავლობ აქ უნივერსიტეტი-მეთქი. ჩემი სემ-
შობლად საქართველო განლაგო-მეთქი.

ჰა! თქვენ ქართველი ხართ? რუსეთიდან? აქ დამიწ-
ო რუსეთზე ლაზარაკი.

მე ხახარი ვარ, — ძველათ რომ სცნოვრობდნენ რუ-
სეთში, ისტორიიდან გვეცდინებათო.

როგორა არა, ვუპასუხე მე.

აი ამ ხახარების მეფეების უკანასკნელი ჩამომავ-
ლი მე განლაგართო, ჩემი გვარი ბაგრატონი (Bagra-
tion) განლაგო ჩვენი მეფეები ბაგრატონები (Bagra-
tipen) ივენენ, მე უკანასკნელი მათი ბრძანებით ჩამომ-
ვალი ვარო. რუსეთშიაც უნდა ივენენ კიდევ ბაგრატონე-
ბი. მაგრამ ისინი ჩვენი მეფის მამიდამეფეებს და მამ-
მამიდამეფეებისგან არიანო აქ მე დავინტერესდი და ვუთ-
ხარი: მართალია, ჩვენში ქართველებში არიან მეთქი ბა-
გრატონები თავადები. და მოუყე ჩვენი თქმულეა ჩვენის
მეფეების ბაგრატონების გვარზე.

იციო ეს თქვენი ბაგრატონები ვოლევიდან არიან
წამოსულებიო, ეკენი, ჩვენ სახლს ეკუთვნიანო.

თქვენ გაქვთ მაგ აზრის დასამტკიცებლად რამე?
ვკითხე.

არაო, დავით მეფის ჩამომავლობაზე არაფერი შე-
მიძლიან გითხრათო, მაგრამ ბაგრატონები, რომ მარ-
ტო ხახარებს გვეყავს, აქედან ჩამომავს ეს აზრიო.

რასაკვირველია ჩვენ შეგვიძლიან ეს აზრი უარ ეყოთ,
მაგრამ ერთის აზრით კიდევ შეიძლება მართლად ასეც
იყოს: რადგანაც ბაგრატონებს უწინ ებრაული სარწმუ-
ნება ექნებოდათ, ჩვენ ხალხის ფანტაზიამაც, რომელმაც
შეიძლება ხოხარებზე იმდენი წარმოდგენა არა შექმნოდათ,
ებრაელებათ მონათლეს და ხოხარების ხანის ჩამომავლები,
დავით მეფის ჩამომავლებად მონათლეს. მე ასე ვფიქ-
რობ.

მერე ამ კაცმა ბაგრატონმა, მომიყვა უნგრეთზე
და უცბათ წამოიძახა: იციო, ქართველები უნგრეთშიაც
გვეხანო.

მე ვუპასუხე, რა განაკვირველია, აკერ მე აქ ვენაში
ვარ მეთქი არაო, ეგრე არა, გაუუნგრებულეები არიან,
უკვე იქნებოან ასე ათას კოლმადიანო. ისინი გაფანტუ-

ლები ანაზა, საჩუქრებს ბერძნული აქეთა და უნგარელებიც ამიტომ ამათ „გორგეკს“ ეძახიან (ბერძენი — გორგეკი) მე ვინცა რამდენიმე პირსაც. იმათ ძველი ლეგენდები აქეთ დაჩენილია, საიდანაც სხანს, რომ ისინი ბერძენები კი არა, ქართველები უნდა იყვნენ, კავკასიიდან აფიანთი წისნდელი ანაფური ადარა აქეთ დაჩენილი: არც ენა, არც ანაფური, მხოლოდ ასე პატარა თქმულებები და ასეა. ესენი უნგარეთში უკვლახე ძვიერ პატარეგმულნი ანაზა. სახის ტიპიც ცოტა სხვანაირი აქეთა.

ამ სიტყვების შემდეგ უნდათ გამომეშვიდობა ისე, რომ მე სიტყვის ამოღება ვერ მოვასწარი, უკანდავად რომ მეტი დახარკის გაკეთება არ შემიძლიან, საქმე მაქვს და წავიდა; მე ვერ მოვასწარ ვერც ბარათის გაშროთევა, ვერაფერი, ბევრი ვიქებე ბაღში მეორე-მესამე დღესაც, მაგრამ ვეღარ ვიშვებე.

რეგორც ვხედავთ, ქართველები უნგარეთშიც გვევლია. სად არ განხეულა ჩვენი წილი!

ეს განხევათ მიხედა რომელმაც მაიძულა ამ წერილის მოწერა.

ბ. ოქროპირიძე.

წიგნი რედაქციის მიმართ

ბნე რედაქტორ! გთხოვთ ადგილი მისცეთ ჩემს წერილს რეკლამის პატარეგმულ გურნად ნიშადურში, ვიდაც „გიორგი ხარიგლეჯია“ ნიშადურის № 57 მთავსებულ წიგნიში „ქიზიყი და ქიზიყელები“ სწერს ჭარბებს და სისხადგეს, რეგორც ჩემსედ აგრეთვე ჩემდა რწმუნებულ საზღადრჩინოდ სამდვდელებსაც, რაც სრულიად მოკლებულია სიმართლეს. ამისათვის ვსთხოვ ბნე ხარიგლეჯიას აისადოს ნიდაბი და გამბრძანდეს სამედიატორა სსსამართლში, რათა გამოირკვეს სიმართლე სხოგადრების წინაშე. პატარ ხარიგლეჯიას ვაძლევე დღეიდან ორი კვირის ვადას და თუ ამ ხნის განმავლობაში არ იხება გამოსვლა, უკვლახ მისი ხაწრები იქნება ჭარი და თვით ხარიგლეჯია მეჭრე და ცილის მწამებელი.

ჩემს მხრით მედიატრებათ ვასახელებ შიო დედაბრიშვილს (ანაგვისპირელს) და ერემა გულისშვილს.

კაკაბეთის ბლ. მლ. ს. ექვთიმიშვილი

რედაქციისაგან

„ნიშადურის“ 55 №-ში დაიბეკდა ჩიბათის აფთიაქზე ისეთი ოხუნჯური კორესპონდენცია, რ მეღსაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა ჩვენს ჟურნალში. რედაქციამ საკმაოდ ვერ გაითვალისწინა რედაქციის დღევანდელი სუსხი, რომელიც ამ ჟამად მძვინვარებს პროვიციაში და დაბეკდა ისეთი კორესპონდენცია, რომელმაც კინალამ ხიფათში გაა-

ხვია აფთიაქის პატრონი, ამიტომ რედაქციამ ვერაღებულედ რაცხს თავის თავს გულწრფელი ბოდიში მოიხადოს ბნე კიკაჩიშვილთან, ღრმად დარწმუნებული, რომ თვით ბნე კიკაჩიშვილი და მკითხველებიც შესაფერს მჯავრს დასდებენ იმ ჯურა კორესპონდენტებს, რომელთაც სიმართლე უნაცვლებიათ პირადი ანგარიშებისათვის და მართებული და სწორი სიტყვების მაგიერ რედაქციებს აწვდიან პირად ანგარებას და კორებს... რა თქმა უნდა, კორესპონდენტების უკეთურობა ვერ გაამართლებს საესებით რედაქციებს, მაგრამ ცოტათი მაინც შეამსუბუქებს იმ ცოდოს, რომელიც რედაქციებს უნებურად ბრალდება...

რაც შეეხება ზემოდსენებულის ინცინდენტის გამო „შურდულში“ ატეხილს განგაშს და უადგილო მალაყების გადასვლას, ჩვენ ეს არ ვაგვიკვირვებია, რადგან ესდევურ გაზეთებმა უკვე დიდი ხანია ყველანი შეგვაჩვიეს თავიანთ ტაკი მასხრობას და ჯამბახობას. ერთს რჩევას კი მივცემთ ბნე მკითხველს, რომელიც პროფესიონალურს და სისტემატიურ პროვოკატორობას ეწევა ჩვენს წინააღმდეგ: თუ მაინც და მაინც ასე გაინტერესებთ, ბნე მკითხველო, შევრახმული და პროვოკატორული წერილების აღნუსხვა, შორს რაღას მიდიხართ: გადაფურცლეთ თქვენი გამოცემანი, აი თუნდა ის წერილები, რომელნიც ეგზარხოსი ნიკონის მკვლელობას უძღვენით და რომელშიაც „Пош. Кавказа“-სთან ერთად „სისკნოე ოხრანოე ოტდელენიის“ მაგიერობას უწევდით ტფილისის პოლიცია-ჟანდარმერიას... „კულა ხარი თავისთვის არ იყო, სხვებს ბუზებს უგერებდაო“ სწორედ თქვენზეა ნათქვამი!

ბიშროკრატის განსაცდელი



მირბის. მიმაფრენს უგზო უკვლად ჩემი... მერაჩი უკან მომხვავის განსაცდელის შავი ეარაჩა.

რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია.